ოქმი:**ო03. 3724332001**

თარიღი:**27/11/2024**

ოქმი № 14

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის სხდომის

2024 წელი, 25 ნოემბერი

ქ.ოზურგეთი

12:00- საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი-კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ლ. ბიგვავა, ბ. თოიძე, ტ. აროშიძე, ქ.ხომერიკი, ბ. მელუა, გ. მდინარაძე, ნ. ღაჟონია, ნ, ქარჩავა.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.“

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

2.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის III-კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ“

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

მომხსენებელმა, კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტზე. აღნიშნა, რომ საკრებულოში 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი შემოტანილი იქნა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის და საბიუჯეტო კოდექსებით გათვალისწინებულ ვადებში, დადგენილი პროცედურების დაცვით და მოკლედ დაახასიათა საბიუჯეტო პარამეტრები.შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ პ. ჭყონიას. თანამომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები.აღნიშნა,რომ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი განსაზღვრულია 41 130.ათ ლარით,ანუ მიმდინარე წლის ბიუჯეტს აღემატება 3 380,0 ათ.ლარით.ზოგადი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ კომისიის წევრებს მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია ცალკეული პრიორიტეტებით გათვალისწინებული პროგრამების,ქვეპროგრამების

დაფინანსებაზე. მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.კომისიის წევრმა ბ.მელუამ წინადადებით მიმართა კომისიის წევრებს ბიუჯეტში გასათვალისწინებელი შენიშვნით,კერძოდ:პედაგოგების,სამხედრო მოსამსახურეებისა და ომის ვეტერანებისათვის სატრანსპორტო შეღავათებით სარგებლობის შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს გადაწყვიტეს:

1.მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ და სხვა მუდმივმოქმედი კომისიების სხდომებზე განხილვისას დაფიქსირებული შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით. 2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის III კვარტლის შესრულების ანგარიში წარდგენილ იქნას ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი